

დამატებითი მომსახურების „დავალიანების გადახდის გადავადება“ პირობები  
(სამლარინი ტარიფით)

1. ოპტიკური (GPON/P2P) მომსახურებების, კერძოდ, ინტერნეტ და/ან სილქ ტვ მომსახურებების, ასევე ორმაგი, სამმაგი, ს1 სამმაგი და ოთხმაგი შეთავაზებების მიმღებ ფიზიკურ პირ აბონენტებს შეუძლიათ ისარგებლონ დამატებითი მომსახურებით - „დავალიანების გადახდის გადავადება“ (შემდგომში „გადახდის გადავადება“), რომლის ფარგლებშიც, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გადაავადონ აბონენტის ანგარიშზე არსებული დავალიანების გადახდა, აღნიშნული დამატებითი მომსახურების ღირებულების წინასწარ, ერთჯერადად გადახდის პირობით.
2. აბონენტს „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება შეუძლია დავალიანების დაანგარიშებისა და სმს შეტყობინებით კოდის მიღების შემდეგ: ა) სააბონენტო გადასახდელის გადახდის თარიღამდე ან ბ) გადახდის თარიღის დადგომის (მომსახურებების შეზღუდვის) შემდგომ - მომდევნო გადახდის თარიღამდე ვადით (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოხდება შეზღუდული მომსახურების აღდგენა).
3. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია სხვადასხვა საგადახდო სისტემების მეშვეობით, აბონენტისთვის სმს შეტყობინების სახით გაგზავნილი აქტივაციის კოდის საშუალებით.
4. **„დავალიანების გადავადების“ მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 3 (სამი) ლარის ოდენობით.**
5. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შემდგომ, მომდევნო გადახდის თარიღისათვის „აბონენტს“ სააბონენტო ანგარიშის მიმდინარე ბალანსზე დავალიანება გამოუჩნდება ჯამურად: გადავადებულ დავალიანებას დამატებული მიმდინარე („გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების თვის მომდევნო თვის შესაბამისი) დავალიანება.
6. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შემდგომ, მომდევნო გადახდის თარიღისთვის აბონენტს შეუძლია ა) სრულად დაფაროს, როგორც გადავადებული დავალიანება, ისე საანგარიშო თვის დავალიანება ან ბ) დაფაროს მხოლოდ გადავადებული დავალიანება და „გადახდის გადავადების“ მომსახურებით გადაავადოს საანგარიშო თვის დავალიანება.
7. იმისათვის, რომ აბონენტმა ისარგებლოს „გადახდის გადავადების“ მომსახურებით, უნდა განახორციელოს სხვადასხვა საგადახდო სისტემაში სმს შეტყობინებით მიღებული კოდის აკრეფა და გადავადების მომსახურების ღირებულების გადახდა - ზუსტი ოდენობით (სმს კოდის არასწორად აკრეფის შემთხვევაში, აბონენტი ხელახლა სმს შეტყობინებით მიიღებს კოდს).
8. სხვადასხვა საგადახდო სისტემაში „გადახდის გადავადების“ მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხა აისახება აბონენტის სააბონენტო ანგარიშზე (მოხდება დავალიანების შემცირება შეტანილი თანხის პროპორციულად).
9. სხვადასხვა საგადახდო სისტემაში დავალიანების სრული ღირებულების ტოლი ან მეტი თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხით სრულად დაიფარება მიმდინარე დავალიანება.
10. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შემდეგ, დავალიანების დაფარვისას, ჯერ იფარება გადავადებული დავალიანება, ხოლო შემდეგ - მიმდინარე დავალიანება, რომლის გადავადებაც შესაძლებელია.
11. „გადახდის გადავადების“ დამატებითი მომსახურების პირობებზე (N2 დანართის პუნქტი 4.31.) აბონენტის თანხმობა გაცხადებულად ჩაითვლება აბონენტის მიერ საგადახდო სისტემების საშუალებით, დავალიანების გადახდის გადავადების ქმედების განხორციელებაზე, ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან.